

კონკურსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებითი კლასის მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებისათვის

კონკურსის პირობები : კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

პირველი ტური - კონკურსის პირველი ტური არის წერილობითი ფორმის. კონკურსში მონაწილე ყველა გუნდს გადაეცემა წერილობითი დავალება, რომელზეც ერთდროულად მუშაობს გუნდში მთლიანი შემადგენლობით და განსაზღვრული დროის ამონერვის შემდეგ აბარებს კონკურსის ორგანიზატორებს შესრულებულ წერით ნამუშევარს.

პირველი ტურის დავალება

ყურადღებით წაკითხეთ მოცემული მონაკვეთი, დაასრულეთ ამბავი და შეურჩიეთ სათაური.

გაითვალისწინეთ! ნაშრომში უნდა იყოს არანაკლებ 100 სიტყვისა.

დავალების დრო - 2 საათი.

საჭიროა მოსწავლეებს მიეწოდოს ისეთი მხატვრული ტექსტის მონაკვეთი, რომელიც შეესაბამება მათ ასაკს და მოცემული ნაწყვეტი იძლეოდეს იმის საშუალებას, გუნდმა გააგრძელოს თხრობა და გამოავლინოს ფანტაზიის, მხატვრული წარმოსახვის უნარი.

ნაშრომი უნდა გასწორდეს მკაფიოდ შერჩეული, გაზომვადი კრიტერიუმების (კომისიამ წინასწარ უნდა შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები) საშუალებით. თხზულების მაქსიმალური ქულა უნდა იყოს 20.

მეორე ტური - არის როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი სახის შეჯიბრი და შედგება სამი რაუნდისაგან:

I რაუნდი - ბლიც კითხვები

ბლიც კითხვებს ზეპირი ფორმით პასუხობს მხოლოდ გუნდის კაპიტანი. პირველი რაუნდის კითხვები შედგება გრამატიკული ნაწილისაგან. გუნდების რაოდენობის შესაბამისად უნდა მომზადდეს კონვერტები. თითოეულ კონვერტში მოთავსებული უნდა იყოს 10 კითხვიანი დავალება (კითხვები უნდა იყოს თითოქელიანი), ყოველი 10 კითხვიანი დავალება უნდა შედგებოდეს თანაბარი სირთულის სხვადასხვა გრამატიკული საკითხისგან (მაგ.: 1 კითხვა არსებითი სახელის, 1 კითხვა ზმნის, 1 კითხვა ზედსართავი სახელის შესახებ...) ნამყვანი გუნდის კაპიტანს უსვამს კითხვებს. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით. ჯამში ათი ქულა.

II რაუნდი - მხატვრული კითხვა

გუნდის წევრებს გადაეცემათ კომისიის მიერ წინასწარ შერჩეული სამი ნაწარმოები (პოეტური ან/და პროზაული), რომელიც იძლევა საშუალებას, გუნდმა დაინაწილოს როლებად (მთხრობელი, პერსონაჟები...)

(მოსამზადებელი დრო 20 წუთი)

მოსამზადებელი დროის გასვლის შემდეგ გუნდი კომისიის წინაშე წარადგენს შერჩეულ ნაწარმოებს როლური კითხვით.

გუნდების გამოსვლის რიგითობა განისაზღვრება წილისყრით.

როლური კითხვის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული და გამჭვირვალე, არაორაზროვანი, მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

III რაუნდი - დაასრულეთ წინადადება

გუნდებს წარედგინება ერთი საერთო წინადადება, რომელიც უნდა დაასრულონ და განავითარონ მსჯელობა. წერიტი დავალების შესასრულებლად მიეცემა 15 წუთი. შესრულებული ნაშრომი უნდა შედგებოდეს მინიმუმ ხუთი წინადადებისაგან.

დავალება გუნდებს წარედგინება წინადადების სახით, რომელიც გუნდის წევრებმა უნდა დაასრულონ, მაგ. მე ბედნიერი ვარ, რომ ვარ ბავშვი, რადგან...

შესრულებული წერიტი დავალება უნდა შეფასდეს კომისიის მიერ ადგილზე, წინასწარ შემუშავებული გამჭვირვალე, გაზომვადი კრიტერიუმების მიხედვით, მაქსიმალური შეფასება 5 ქულა .

მეორე ტურის მაქსიმალური შეფასება უნდა იყოს 20 ქულა.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან მეორე ტურის სამივე რაუნდში მიღებული შედეგების შეჯამების შედეგად.

კონკურსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში საბაზო საფეხურის მე-7; მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის

კონკურსის პირობები: კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

პირველი ტური - კონკურსის პირველი ტური არის წერილობითი ფორმის. კონკურსში მონაწილე ყველა გუნდს გადაეცემა წერილობითი დავალება, რომელზეც ერთდროულად მუშაობს გუნდითლიანიშემადგენლობით და განსაზღვრული დროის ამონურვის შემდეგ აბარებს კონკურსის ორგანიზატორებს შესრულებულ წერით ნამუშევარს.

პირველი ტურის დავალება

- ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი, გამოკვეთეთ ტექსტში დასმული პრობლემა და დაწერეთ თხზულება მოცემული მითითებების მიხედვით.

გაითვალისწინეთ! ნაშრომში უნდა იყოს არანაკლებ 120 სიტყვისა.

დავალების დრო - 2 საათი.

საჭიროა მოსწავლეებს მიეწოდოს ისეთი მხატვრული ტექსტის მონაკვეთი, რომელიც შეესაბამება მათ ასაკს და დასმულია მათი ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი მორალურ-ეთიკური პრობლემები (მაგ. ბულინგი, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა, მშობელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა, თანატოლებთან ურთიერთობები...) მოცემული ნაწყვეტი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, გუნდმა გამოკვეთოს პრობლემა, იმსჯელოს მასზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, მონახოს პრობლემის გადაჭრის გზები და წარმოადგინოს თავისი დამოკიდებულება... ნაშრომი უნდა გასწორდეს მკაფიოდ შერჩეული, გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით. თხზულების მაქსიმალური ქულა უნდა იყოს 20.

მეორე ტური - არის როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი სახის შეჯიბრი და შედგება სამი რაუნდისაგან:

I რაუნდი - ბლიც კითხვები

ბლიც კითხვებს ზეპირი ფორმით პასუხობს მხოლოდ გუნდის კაპიტანი. პირველი რაუნდის კითხვები შედგება გრამატიკული ნაწილისაგან. გუნდების რაოდენობის შესაბამისად უნდა მომზადდეს კონვერტები. თითოეულ კონვერტში მოთავსებული უნდა იყოს 10 კითხვიანი დავალება (კითხვები უნდა იყოს თითოქულიანი), ყოველი 10 კითხვიანი დავალება უნდა შედგებოდეს თანაბარი სირთულის სხვადასხვა გრამატიკული საკითხისგან (მაგ.: 1 კითხვა არსებითი სახელის, 1 კითხვა ზმნის, 1 კითხვა ზედსართავი სახელის შესახებ...) წამყვანი გუნდის კაპიტანს უსვამს კითხვებს. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით. ჯამში ათი ქულა.

II რაუნდი - მხატვრული კითხვა

დავალება შედგება ორი ნაწილისგან:

გუნდის წევრებს გადაეცემათ კომისიის მიერ წინასწარ შერჩეული სამი მცირე ზომის ტექსტი (პრობაული ან/და პოეტური; ყველა გუნდს ერთნაირი).

გუნდებს მოეთხოვებათ:

- ა) ტექსტის მიხედვით შექმნან სცენარი, გამოყონ როლები: ავტორი, პერსონაჟი, საჭიროებისამებრ დაამატონ პერსონაჟი, წერილობით წარმოადგინონ ნამუშევარი (დავალების შესასრულებლად 20 წთ);
- ბ) წარმოადგინონ სცენა მათ მიერ შექმნილი სცენარის მიხედვით (წარმოდგენისთვის ეძლევათ 10 წუთი). გუნდებს შეუძლიათ გამოიყენონ სცენაში სხვადასხვა რეკვიზიტი (გარკვეული რეკვიზიტების შესაქმნელად წარმოდგენილი იქნება მასალები: ფერადი ფურცელები, მარკერები, სტიკერები, ნებო და მაკრატელი.)

გუნდების გამოსვლის რიგითობა განისაზღვრება წილისყრით.

მხატვრული კითხვის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული და გამჭვირვალე, არაორაზროვანი, მაქსიმალური შეფასება 10 ქულა.

III რაუნდი - არგუმენტირებული ესე

გუნდებს წარედგინება ერთი საერთო პირობა არგუმენტირებული ესეს შესაქმნელად, რომლის დასასაბუთებლად და წერილობით შესასრულებლად მიეცემათ 15 წუთი. დასაბუთებული ესე უნდა შედგებოდეს მინიმუმ ხუთი წინადადებისაგან.

არგუმენტირებული ესეს დავალება გუნდებს წარედგინება წინადადების სახით, რომელიც გუნდის წევრებმა უნდა დაასრულონ, წინადადებაში უნდა იყოს წარმოდგენილი მოზარდებისთვის აქტუალური პრობლემა ან საკითხი, მაგ. კარგი მოქალაქე არის ის, ვინც...

არგუმენტირებული ესე უნდა შეფასდეს კომისიის მიერ ადგილზე, წინასწარ შემუშავებული გამჭვირვალე, გაზომვადი კრიტერიუმების მიხედვით, მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

მეორე ტურის მაქსიმალური შეფასება უნდა იყოს 25 ქულა.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან მეორე ტურის სამივე რაუნდში მიღებული შედეგების შეჯამების შედეგად.

კონკურსი მათემატიკაში დანყებითი საფეხურის მე - 5 და მე - 6 კლასის მოსწავლეებისათვის

კონკურსის პირობები:

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

პირველი ტური - არის წერილობითი ფორმის. კონკურსში მონაწილე ყველა გუნდს გადაეცემა მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი სახალისო ამოცანებისგან შემდგარი კრებული, რომელზეც ერთდროულად მუშაობს გუნდითლიანიშემადგენლობით და განსაზღვრული დროის ამონურვის შემდეგ აბარებს კონკურსის ორგანიზატორს შესრულებულ ნამუშევარს.

პირველი ტურის ამოცანების კრებული უნდა მოიცავდეს 5 ამოცანას თითოეული ამოცანა უნდა ფასდებოდეს ხუთი ქულით. კრებულის მაქსიმალური ქულა უნდა იყოს 25. პირველ ტურში მოსწავლეებს სამუშაოდ უნდა მიეცეს 3 საათი.

მეორე ტური მეორე ტური თავის მხრივ მოიცავს სამ რაუნდს.

მეორე ტურისთვის უნდა შეიქმნას ამოცანათა ბანკი არა ნაკლებ 30 ამოცანისა. 10-10 ამოცანა თითოეული რაუნდისთვის პირველი და მესამე რაუნდის ამოცანები უნდა იყოს 2-2 ქულიანი, მეორე რაუნდის ამოცანები ერთ ქულიანი. თითოეული ამოცანა უნდა დაიშიფროს ინდივიდუალური კოდით, დაიბეჭდოს და დაილუქოს ცალკ-ცალკე რაუნდების შესაბამისად კონვერტებში. ასევე უნდა მომზადდეს თითოეული ამოცანისა და ამონახსნის (პასუხის) ელექტრონული ვერსია PowerPoint Presentation სახით ეკრანზე საჩვენებლად.

I რაუნდი - ხდება გუნდების შეჯიბრება ამოცანების ამოხსნაში.

პირველ ტურში მიღებული ქულების შესაბამისად თანმიმდევრობით (მალიდან დაბლისკენ) გუნდის კაპიტანი ამოიღებს ამოცანათა ბანკიდან ერთ ამოცანას და ამოცანის პირობას უკითხავს მოთამაშე გუნდებს (ამოცანის პირობა უნდა გამოისახოს ეკრანზეც) ამოცანის პირობის ჩანიშნის შემდეგ გუნდები დამოუკიდებლად იწყებენ ამოცანის ამოხსნას. ამოცანა არის 2 ქულიანი. მხოლოდ სწორი პასუხი ამონახსნის გარეშე შეფასდება 1 ქულით, არასწორი ამონახსნი ფასდება ნული ქულით. გუნდი, რომელიც ამოცანას სხვა ხერხით სრულყოფილად ამოხსნის შეფასდება 2 ქულით.

პირველ რაუნდში გუნდებს ამოხსნისნელად უნდა მიეცეს თანმიმდევრობით 4 ამოცანა.

გუნდს თითოეული ამოცანის ამოსახსნელად უნდა მიეცეს 10 წუთი. შეფასება უნდა მოხდეს ამოცანის ამოხსნისთანავე და შედეგი გუნდებს უნდა ეცნობოს მომდევნო ამოცანის ამოღებამდე. ასევე ამონახსნი უნდა გამოისახოს ეკრანზე.

II რაუნდი - გაიმართება წყვილებს შორის მათემატიკური თამაშობები.

მათემატიკური თამაშობების რაუნდში კომისია მონაწილე გუნდებიდან წილისყრით გამოავლენს წყვილებს, რომლებიც დაუასთან შეეჭიბრებიან ერთმანეთს. წყვილს ეძლევა ერთ - ქულიანი სახალისო ამოცანა შესასრულებლად, რაც გამოავლენს გამარჯვებულს და დამარცხებულს.

III რაუნდი - ხდება გუნდის კაპიტანთა შეჭიბრება ისევ ამოცანების ამოხსნაში.

გუნდის კაპიტანთა შეჭიბრი კონკურსის დამაგვირგვინებელი პაექრობაა. კაპიტანს შეუძლია არსებითად შეცვალოს შეხვედრის საბოლოო სურათი. კაპიტანთა რაუნდში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ გუნდების კაპიტნები, მიუხედავად იმისა, ღებულობდნენ თუ არა ისინი მონაწილეობას კონკურსის სხვა ეტაპებზე. კაპიტნებს გულშემატკივრობენ გუნდის დანარჩენი წევრები.

მესამე რაუნდში კაპიტნებს ამოსახსნელად უნდა მიეცეს თანმიმდევრობით 3 ამოცანა.

თითოეული ამოცანის ამოსახსნელად უნდა მიეცეს 10 წუთი. შეფასება უნდა მოხდეს გუნდური შეჭიბრის შეფასების მსგავსად.

გამარჯვებულები გამოვლინდება მეორე ტურის სამივე რაუნდში მიღებული შედეგების შეჯამების შედეგად.

კონკურსი მათემატიკაში საბაზო საფეხურის მე - 7, მე-8 და მე - 9 კლასის მოსწავლეებისათვის

კონკურსის პირობები: კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

პირველი ტური - არის წერილობითი ფორმის. კონკურსში მონაწილე ყველა გუნდს გადაეცემა მე - 7, მე - 8 და მე - 9 კლასის მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ამოცანებისგან შემდგარი კრებული, რომელზეც ერთდროულად მუშაობს გუნდი მთლიანი შემადგენლობით და განსაზღვრული დროის ამონერვის შემდეგ აბარებს კონკურსის ორგანიზატორს შესრულებულ ნამუშევარს.

პირველი ტურის ამოცანების კრებული უნდა მოიცავდეს 5 ამოცანას თითოეული ამოცანა უნდა ფასდებოდეს ხუთი ქულით. კრებულის მაქსიმალური ქულა უნდა იყოს 25. პირველ ტურში მოსწავლეებს სამუშაოდ უნდა მიეცეს 3 საათი.

მეორე ტური მეორე ტური თავის მხრივ მოიცავს სამ რაუნდს.

მეორე ტურისთვის უნდა შეიქმნას ამოცანათა ბანკი არა ნაკლებ 30 ამოცანისა. 10-10 ამოცანა თითოეული რაუნდისთვის პირველი და მესამე რაუნდის ამოცანები უნდა იყოს 2-2 ქულიანი, მეორე რაუნდის ამოცანები ერთ ქულიანი. თითოეული ამოცანა უნდა დაიშიფროს ინდივიდუალური კოდით, დაიბეჭდოს და დაილუქოს ცალკ-ცალკე რაუნდების შესაბამისად კონვერტებში. ასევე უნდა მომზადდეს თითოეული ამოცანისა და ამონახსნის (პასუხის) ელექტრონული ვერსია PowerPoint Presentation სახით ეკრანზე საჩვენებლად.

I რაუნდი - ხდება გუნდების შეჯიბრება ამოცანების ამოხსნაში.

პირველ ტურში მიღებული ქულების შესაბამისად თანმიმდევრობით (მაღლიდან დაბლისკენ) გუნდის კაპიტანი ამოიღებს ამოცანათა ბანკიდან ერთ ამოცანას და ამოცანის პირობას უკითხავს მოთამაშე გუნდებს (ამოცანის პირობა უნდა გამოისახოს ეკრანზე) ამოცანის პირობის ჩანიშნვის შემდეგ გუნდები დამოუკიდებლად იწყებენ ამოცანის ამოხსნას. ამოცანა არის 2 ქულიანი, მხოლოდ სწორი პასუხი ამონახსნის გარეშე შეფასდება 1 ქულით, არასწორი

ამონახსნი ფასდება ნული ქულით. გუნდი, რომელიც ამოცანას სხვა ხერხით სრულყოფილად ამოხსნის შეფასდება 2 ქულით.

პირველ რაუნდში გუნდებს ამოსახსნელად უნდა მიეცეს თანმიმდევრობით 4 ამოცანა.

გუნდს თითოეული ამოცანის ამოსახსნელად უნდა მიეცეს 10 წუთი. შეფასება უნდა მოხდეს ამოცანის ამოხსნისთანავე და შედეგი გუნდებს უნდა ეცნობოს მომდევნო ამოცანის ამოღებამდე. ასევე ამონახსნი უნდა გამოისახოს ეკრანზე.

II რაუნდი - გაიმართება წყვილებს შორის მათემატიკური თამაშობები.

მათემატიკური თამაშობების რაუნდში კომისია მონაწილე გუნდებიდან წილისყრით გამოავლენს წყვილებს, რომლებიც დატვასთან შეეჭიბრებიან ერთმანეთს. წყვილს ეძლევა ერთ - ქულიანი სახალისო ამოცანა შესასრულებლად, რაც გამოავლენს გამარჯვებულს და დამარცხებულს.

III რაუნდი - ხდება გუნდის კაპიტანთა შეჭიბრება ისევ ამოცანების ამოხსნაში.

გუნდის კაპიტანთა შეჭიბრი კონკურსის დამაგვირგვინებელი პაექრობაა. კაპიტანს შეუძლია არსებითად შეცვალოს შეხვედრის საბოლოო სურათი. კაპიტანთა რაუნდში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ გუნდების კაპიტნები, მიუხედავად იმისა, ღებულობდნენ თუ არა ისინი მონაწილეობას კონკურსის სხვა ეტაპებზე. კაპიტნებს გულშემატკივრობენ გუნდის დანარჩენი წევრები.

მესამე რაუნდში კაპიტნებს ამოსახსნელად უნდა მიეცეს თანმიმდევრობით 3 ამოცანა.

თითოეული ამოცანის ამოსახსნელად უნდა მიეცეს 10 წუთი. შეფასება უნდა მოხდეს გუნდური შეჭიბრის შეფასების მსგავსად.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან მეორე ტურის სამივე რაუნდში მიღებული შედეგების შეჯამების შედეგად.

ისტორიისა და სამოქალაქო განათლების კონკურსი საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის

კონკურსის პირობები: კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

პირველი ტური - არის წერილობითი ფორმის. კონკურსში მონაწილე ყველა გუნდს გადაეცემა ტესტი, რომელზეც ერთდროულად მუშაობს გუნდი მთლიანი შემადგენლობით და განსაზღვრული დროის ამონურვის შემდეგ აბარებს კონკურსის ორგანიზატორს შესრულებულ ნამუშევარს.

პირველი ტურის ტესტი უნდა მოიცავდეს ისეთ დავალებებს როგორცაა: (ისტორიული წყაროს ანალიზი, წინადადებაში გამოტოვებული სიტყვების ადგილას შესაბამისი სიტყვის ჩასმა, მოცემული ტერმინებისა და სიტყვების განმარტება, ტექსტში დაშვებული შეცდომების გასწორება, ისტორიული პიროვნებებისა და ფაქტების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგება).

საჭიროა მოსწავლეებს მიენდოს ისეთი ტექსტი, რომელიც შეესაბამება მათ ასაკს - ისტორიული წყარო, რომლის ავტორიც შეიძლება უცნობი იყოს ბავშვებისთვის, მაგრამ თავად მოვლენის, ისტორიული პიროვნების შესახებ მათ უკვე უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა, რათა გუნდმა შეძლოს ისტორიულ წყაროში არსებულ ინფორმაციაზე საუბარი და დასმულკითხვებზე სწორი პასუხების გაცემა. მაქსიმალური შეფასება 10 ქულა.

მოსწავლემ უნდა შეძლოს გამოტოვებული სიტყვების ტექსტში ჩასმა, რომელიც ასახავს ისტორიის რომელიმე ეპიზოდს. ტექსტში ჩასასმელი სიტყვები თან უნდა ერთვოდეს დავალებას. მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

მოსწავლემ უნდა ამოიცნოს კონკრეტული მოვლენა ან ფაქტი, გამოიყენოს სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ინფორმაცია და განმარტოს მისი მნიშვნელობა (მაგალითად, ტექსტი, რომელშიც საუბარი იქნება ფერადკანიანთა უფლებების დარღვევაზე და წყაროდან გამომდინარე მოსწავლემ უნდა განმარტოს ტერმინი დისკრიმინაცია). მაქსიმალური შეფასება 8 ქულა (4 დავალება, 2-2 ქულიანი).

მოსწავლემ უნდა ჩაასწოროს მოცემული ტექსტი, განზრახ დაშვებული შეცდომები (მაგ.: გამოჩენილმა იტალიელმა მეცნიერმა ნიკოლაი კოპერნიკმა ჩამოაყალიბა გეოცენტრული თეორია...). მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

მოსწავლემ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ძველიდან ახლისაკენ ან, ახლიდან ძველისაკენ, უნდა დაალაგოს პიროვნებები ან მოვლენები, მათი მოღვაწეობის პერიოდის ან იმის მოხედვით თუ რომელი მოვლენა მოხდა უფრო ადრე ან უფრო გვიან. მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა.

ტესტის შესასრულებლად მაქსიმალურ დროდ უნდა განისაზღვროს - 3 საათი.

ტესტის მაქსიმალური ქულა უნდა იყოს 30.

მეორე ტურში - მონაწილეობენ პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე გუნდები. მეორე ტური არის როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი სახის შეჯიბრი და შედგება სამი რაუნდისაგან:

I რაუნდი - ბლიც კითხვები

ბლიც კითხვებს ზეპირი ფორმით პასუხობს მხოლოდ გუნდის კაპიტანი. კითხვები უნდა იყოს ისტორიისა და სამოქალაქო განათლების საკითხებზე. კითხვის პასუხი აუცილებლად უნდა იყოს ლაკონური. (მაგ.: სულ რამდენჯერ ილაშქრა თემურ-ლენგმა საქართველოში?...). წამყვანი თითოეული გუნდის კაპიტანს დაუსვამს 10 კითხვას, (კითხვები პარალელურად უნდა გამოისახოს ეკრანზე) კაპიტნები დაუყოვნებლივ პასუხობენ ბლიც კითხვებს. სწორ პასუხი ფასდება 1 ქულით. არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით.

მაქსიმალური შეფასება 10 ქულა.

II რაუნდი -წერილი დავალების შესრულება

გუნდებს მიეცემათ 10 კითხვიანი წერილი დავალება, რომელშიც უნდა იპოვონ კითხვების შესაბამისი პასუხები და აღნიშნონ ციფრებით. (მაგ.: მონღოლთა ერთ-ერთმა ბელადმა თემუჩინმა მონღოლური ტომები გააერთიანა 1206 წელს

სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით. არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით.

მაქსიმალური შეფასება 10 ქულა.

III რაუნდი - ისტორიული რუკის (ილუსტრაცია, კარიკატურა) ანალიზი

გუნდებს წარედგინება ერთი ისტორიული რუკა მათთვის ნაცნობ თემაზე და დავალების შესასრულებლად ეძლევა 15 წუთი. გუნდებს მოეთხოვება ამოიცნონ რუკაზე აღწერილი

ისტორიული ეპოქა და მოვლენები. რუკას თან ახლავს პირობითი ნიშნები, ანუ რუკის ლეგენდა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება პასუხების გაცემაში.

რუკა შედგება 5 (ხუთი) თითოეულიანი შეკითხვისგან. ნაშრომი უნდა შეფასდეს კომისიის მიერ ადგილზე, წინასწარ შემუშავებული გამჭვირვალე, გაზომვადი კრიტერიუმების მიხედვით.

ისტორიული რუკის მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.

IV რაუნდი - ისტორიული წყაროს (ტექსტი, ილუსტრაცია, კარიკატურა) ანალიზი

გუნდებს წარედგინება ერთი წყარო მათთვის ნაცნობ თემაზე და დავალების შესასრულებლად ეძლევა 15 წუთი. გუნდებს მოეთხოვება ამოიყონ ისტორიული ეპოქა და მოვლენა.

ტექსტის შემთხვევაში საჭიროა მოსწავლეებს მიეწოდოს ისეთი ტექსტი, რომელიც შეესაბამება მათ ასაკს - ისტორიული წყარო, რომლის ავტორიც შეიძლება უცნობი იყოს ბავშვებისთვის, მაგრამ თავად მოვლენის, ისტორიული პიროვნების შესახებ მათ უკვე უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა, რათა გუნდმა შეძლოს ისტორიულ წყაროში არსებულ ინფორმაციაზე საუბარი და დასმულ კითხვებზე სწორი პასუხების გაცემა.

დავალება შედგება 5 (ხუთი) ერთეულიანი შეკითხვისგან. ნაშრომი უნდა შეფასდეს კომისიის მიერ ადგილზე, წინასწარ შემუშავებული გამჭვირვალე, გაზომვადი კრიტერიუმების მიხედვით.

IV რაუნდის მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.

მეორე ტურის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან მეორე ტურის ოთხივე რაუნდში მიღებული შედეგების შეჯამების შედეგად.